საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 179 2018 წლის 12 აპრილი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელს (შემდგომში – თანამშრომელი), რომელსაც უწევს სამსახურებრივი გადაადგილება რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტში, რაც დაკავშირებულია ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს და ამ მიზნით ბინას ქირაობს სსიპ – შემოსავლების სამსახური.

2. თანამშრომლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესსა და პირობებს ამტკიცებს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი.

3. გადაწყვეტილებას თანამშრომლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე იღებს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი